აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 9 | 2 ივნისი 2021 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი- „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტების „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე“ (09-01-08/14 20.05.2021 წელი)

დასახელება

ავტორი	ინიციატორი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დ. გაბაიძე, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომერე - ვ. მგალობლიშვილი, აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე- ფ. ფუტკარაძე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - მ. გვიანიძე გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

25.02.2021 წელი	წამყვანი კომიტეტი: 22.06. 2021 სხვა კომიტეტები:16.06.2021	საგაზაფხულო სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი;
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

24/05/2021
N 821

821-09-02-11-3-202105241227

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტების ,,მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე
(N09-01-08/14, 20.05.2021 წ.)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 112-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 115-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ, განხილულ იქნა ,,საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტების ,,მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი და საქართველოს პარლამენტში წარსადგენი ,,მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტები.

წარმოდგენილი დადგენილებისა და თანდართული საქართველოს კანონების პროექტები შეესაბამება ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლითა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული

აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 112-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 115-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოვადგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს - „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტების „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე“.

გთხოვთ, მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -24- ფურცელი

09-01-08/14.
20 05 2021
25 ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

ვლადიმერ მგალობლიშვილი

ფრიდონ ფუტკარაძე

მარინე გვიანიძე

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტების „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს წარედგინოს საქართველოს კანონის პროექტები „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ .

2. წარდგენილ კანონპროექტებზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძე.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2021 წლის
№

<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნასა და მართვასთან დაკავშირებულ ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს.

2. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიისთვის მიკუთვნებული მიწის, ტყის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. კანონის ძირითადი მიზნებია:

ა) უზრუნველყოს მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნა;

ბ) მოაწესრიგოს მაჭახლის დაცული ლანდშაფტის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი (სამართლებრივი მექანიზმი);

გ) შექმნას მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მართვის სისტემა;

დ) მოაწესრიგოს მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მართვის მექანიზმები.

2. ამ კანონის ძირითადი ამოცანაა, მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ფარგლებში:

ა) ხელი შეუწყოს ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ისტორიითა და კულტურით გამორჩეული მაჭახლის ხეობის ტერიტორიის დაცვას, აღდგენასა და გონივრულ გამოყენებას;

ბ) უზრუნველყოს მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, განსაკუთრებით – გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეებისა და ცხოველების გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების დაცვა და აღდგენა;

გ) უზრუნველყოს მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიისთვის მიკუთვნებული მიწის, ტყის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და რაციონალური გამოყენება, გარემოსდაცვითი განათლებისა და მეცნიერული კვლევისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, აგრეთვე ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული და კულტურული ძეგლებისა და განაშენიანების ტიპის დაცვა და შენარჩუნება;

დ) ხელი შეუწყოს რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

მუხლი 3. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნა და მისი მიზნები

1. მაჭახლის დაცული ლანდშაფტი იქმნება ეროვნული მნიშვნელობისა და დიდი ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივი ლანდშაფტისა და ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შესანარჩუნებლად, რეკრეაციული, ტურისტული და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განსახორციელებლად.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მაჭახლის ხეობის ბიოლოგიური, ლანდშაფტური და კულტურული მრავალფეროვნებისა და დიდი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებების შენარჩუნების მიზნით ამ ტერიტორიას ენიჭება დაცული ლანდშაფტის სტატუსი და ეწოდება მაჭახლის დაცული ლანდშაფტი.

3. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ფუნქციურ-გეგმარებითი ორგანიზება (ზონირება) ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

4. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნის მიზნებია:

ა) უნიკალური ბუნებრივი ეკოსისტემების ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების ანთროპოგენიზაციის შედეგად გადაგვარებისა და განადგურებისგან დაცვა;

ბ) უმდიდრესი ეროვნული მემკვიდრეობის – ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლებისა და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის - შენარჩუნება;

გ) ბუნებრივი ლანდშაფტისა და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის ესთეტიკურ ღირებულებებსა და ტურისტულ რესურსებზე რეკრეაციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნის (მოწყობის) ხელშეწყობა;

დ) ხალხური შემოქმედების ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება;

ე) ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებისა და გარემოსდაცვითი საკითხების დაბალანსება ბუნებრივი გარემოს აქტიური დაცვითა და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების შენარჩუნებით;

5. ამ კანონით განსაზღვრული მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ფუნქციურ-გეგმარებითი ორგანიზება (ზონირება) და შესაბამის ზონებში დაშვებული საქმიანობები, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, განისაზღვრება მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმით.

მუხლი 4. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მდებარეობა და ფართობი

1. მაჭახლის დაცული ლანდშაფტი მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცირე კავკასიონის შავშეთის ქედსა და მის განშტოებებზე. მაჭახლის დაცული ლანდშაფტი მოიცავს მდ. მაჭახლის ხეობას, სამხრეთი საზღვარი მიუყვება მაჭახელას ეროვნული პარკის საზღვარს საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრამდე, აღმოსავლეთი საზღვარი მცირე მანძილზე მიუყვება საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს, ჩრდილოეთი საზღვარი კვლავ მიუყვება მაჭახელას ეროვნულ პარკის საზღვარს, ხოლო დასავლეთით საზღვარი მიუყვება მდ. მაჭახელას და სოფელ კირნათის საზღვარს.

2. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის საერთო ფართობია 4294 ჰექტარი. მაჭახლის დაცული ლანდშაფტი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

ID	X	Y	ID	X	Y	ID	X	Y	ID	X	Y
1	728494.8	4597917	92	737204.9	4600499	183	739645.5	4596620	274	735391.6	4597007
2	728652.1	4598069	93	737349.9	4600628	184	739836.3	4596578	275	735566.2	4596909
3	728867.6	4598158	94	737535.7	4600687	185	740029.7	4596561	276	735740.4	4596811
4	729054.8	4598228	95	737723.5	4600640	186	740188.4	4596455	277	735975.2	4596661
5	729215.9	4598343	96	737918.1	4600624	187	740371.7	4596381	278	736044.3	4596561

6	729352.7	4598487	97	738109.8	4600643	188	740499.1	4596470	279	736087	4596
7	729390.7	4598676	98	738275.1	4600749	189	740668.5	4596377	280	734920.1	4595
8	729347.2	4598871	99	738469.6	4600784	190	740826.9	4596371	281	735972.8	4596
9	729332.6	4598962	100	738667.8	4600770	191	740827.8	4596474	282	735203.7	4595
10	729100.5	4599135	101	738862.7	4600730	192	740988.6	4596587	283	735566.4	45959
11	728928.7	4599235	102	738964.3	4600692	193	741176.5	4596634	284	735358.5	45958
12	728828.8	4599397	103	738897.5	4600451	194	741102	4596455	285	735307.5	45951
13	728632.3	4599372	104	739124.7	4600504	195	741205.1	4596445	286	735160.3	45950
14	728434.2	4599353	105	739312.2	4600568	196	741355.5	4596377	287	735252	45952
15	728196	4599559	106	739478.3	4600676	197	741477.4	4596219	288	735280.9	459505
16	728150	4599553	107	739669.4	4600723	198	741525	4596042	289	735170.1	459511
17	727874.2	4599619	108	739759.8	4600739	199	741511.8	4595860	290	735018.3	459518
18	727892.4	4599732	109	739584.2	4600485	200	741402.1	4595917	291	734853.3	459526
19	728054.3	4599702	110	739476.6	4600318	201	741230.1	4595986	292	734780.8	459544
20	728228.6	4599750	111	739392.9	4600140	202	741054.2	4595894	293	734119.4	459603
21	728416.5	4599749	112	739309.8	4599987	203	740893.7	4595805	294	734527.6	459575
22	728592.7	4599826	113	739213.2	4599820	204	740748.5	4595677	295	734408.5	459591
23	728634.8	4600008	114	739060.9	4599690	205	740575.3	4595601	296	734367.8	459609
24	728618.4	4600197	115	738910.3	4599559	206	740411.9	4595492	297	734169.6	459606
25	728718.6	4600367	116	738755.1	4599435	207	740301.1	4595338	298	733466.3	459614
26	728895.9	4600374	117	738535.2	4599414	208	740139.9	4595148	299	733710.9	459603
27	729039.5	4600280	118	738370.4	4599267	209	740056.7	4595253	300	733605.9	459610
28	729179.5	4600111	119	738373.3	4599119	210	740100.2	4595438	301	733356.6	459618
29	729320.6	4600207	120	738363.1	4598928	211	740134.4	4595624	302	733300.9	459607
30	729506.2	4600280	121	738241.4	4598778	212	740032.6	4595669	303	733137.8	459596
31	729668.8	4600381	122	738385.8	4598714	213	739834.6	4595656	304	733128.9	459616
32	729828	4600491	123	738558.1	4598634	214	739637	4595657	305	733094.5	459636
33	730049.5	4600569	124	738658.5	4598495	215	739438.1	4595673	306	733098.9	459656
34	730131.5	4600428	125	738843.7	4598536	216	739250.5	4595638	307	733179.6	459674
35	730245.1	4600266	126	738952.7	4598679	217	739056.3	4595647	308	733197.4	459693
36	730433.2	4600211	127	739139.9	4598654	218	738930.8	4595499	309	733253.8	459712
37	730600.2	4600252	128	739241.9	4598818	219	738835.2	4595329	310	733181.9	459730
38	730551.4	4600435	129	739389.8	4599022	220	738539.1	4595297	311	733106.5	459748
39	730536.8	4600629	130	739320.5	4599146	221	740172	4595657	312	733092.1	459768

40	730547	4600828	131	739340.1	4599345	222	738475.3	4595590	313	733086	4597
41	730720.2	4600920	132	739366.9	4599514	223	738479.9	4595783	314	733078.8	4598
42	730912.1	4600971	133	739317.4	4599557	224	738488.5	4595976	315	733112.5	4598
43	731097.4	4600913	134	739478.3	4599665	225	738410.2	4596156	316	732906.9	4598
44	731296.2	4600908	135	739594.5	4599732	226	738225.2	4596227	317	732710.3	4598
45	731495.2	4600927	136	739552.2	4599954	227	738053.5	4596327	318	732510.9	4598
46	731663.9	4601027	137	739762.4	4599946	228	737981.1	4596508	319	732335.2	4598
47	731833	4601127	138	739903.9	4599926	229	737927.6	4596695	320	732212.9	4598
48	732029.1	4601164	139	740090.6	4599928	230	737743.9	4596730	321	732105.6	459869
49	732223.2	4601208	140	740137.1	4599688	231	737624.9	4596874	322	731960.2	4598
50	732423	4601212	141	740254.6	4599778	232	737468.6	4596968	323	731674.2	4598
51	732599.8	4601300	142	740447	4599820	233	737275.9	4596988	324	731573.8	4598
52	732723.2	4601451	143	740634.4	4599884	234	737081.6	4597006	325	731374.1	4598
53	732908.4	4601475	144	740706.5	4600020	235	736908.1	4597062	326	731179.1	4598
54	733104.3	4601497	145	740814.5	4600100	236	736777.7	4596934	327	731010.3	4598
55	733302.6	4601522	146	741010.9	4600110	237	736601.8	4596969	328	730919	4598
56	733502.2	4601530	147	741179.5	4600100	238	736444.6	4597089	329	730665.9	4598
57	733687.6	4601473	148	741307.8	4600071	239	736346.3	4597260	330	730545.1	4598
58	733855.7	4601371	149	741471.5	4600157	240	736272	4597419	331	730436.4	4598
59	734052	4601373	150	741564	4600326	241	736342.8	4597594	332	730480.6	4597
60	734241.2	4601433	151	741692.4	4600285	242	736150.2	4597599	333	730503.8	4597
61	734434	4601481	152	741572.4	4600167	243	736031.7	4597692	334	730663.3	4597
62	734559.5	4601501	153	741566	4599981	244	736022.2	4597939	335	730830.5	4597
63	734429	4601263	154	741419.1	4599856	245	736008.5	4598128	336	730747.4	4597
64	734371	4601075	155	741390.4	4599660	246	735821.1	4598073	337	730563.3	4597
65	734548.9	4601062	156	741266.6	4599513	247	735593.8	4598055	338	730460	4597
66	734732.8	4601133	157	741073	4599507	248	735517.7	4598187	339	730352.3	4597
67	734739.3	4600945	158	740888.6	4599446	249	735529.3	4598378	340	730173.7	4596
68	734807.4	4600846	159	740708.4	4599412	250	735527.7	4598631	341	729974.7	4596
69	734916.7	4600696	160	740604.6	4599253	251	735396.8	4598588	342	729776.2	4596
70	734952.9	4600510	161	740455.5	4599154	252	735198.8	4598591	343	729471.7	4597
71	734966.7	4600337	162	740404.7	4598967	253	735019	4598658	344	729396.8	4596
72	735123.5	4600453	163	740488.9	4598794	254	734836.4	4598735	345	729372.5	4596
73	735306.3	4600495	164	740535	4598601	255	734646.3	4598791	346	729320.9	4596

74	735372.8	4600414	165	740564.2	4598405	256	734472.2	4598874	347	729230.5	4596
75	735519.9	4600391	166	740386	4598372	257	734405.9	4599042	348	729100.8	4597
76	735544.8	4600225	167	740368.3	4598180	258	734225.4	4599085	349	728976.1	45972
77	735686	4600103	168	740221.1	4598102	259	734073.5	4599105	350	728837.8	45973
78	735751.8	4600140	169	740138.3	4598074	260	733986	4598825	351	728728.7	45975
79	735915.1	4600236	170	739959.2	4597997	261	734119.8	4598750	352	728666.5	45977
80	736108.8	4600273	171	740059.1	4597875	262	734301.5	4598667	353	730846.2	45973
81	736225.8	4600144	172	740169.4	4597774	263	734441.5	4598540	354	730500.7	459792
82	736363.2	4600003	173	740262.1	4597644	264	734555.5	4598377	355	741449.8	45958
83	736432.5	4599819	174	740229.4	4597454	265	734636	4598194	356	741290.5	45964
84	736624.3	4599773	175	740192.6	4597289	266	734616.1	4598007	357	740786.1	45964
85	736813.1	4599629	176	740137.8	4597103	267	734795.5	4597920	358	740139.5	45970
86	736809.9	4599786	177	740021.8	4597018	268	734911.2	4597882	359	739503.1	45966
87	736789	4599984	178	739839.6	4597002	269	734934.2	4597608	360	740075.1	45977
88	736767.7	4600101	179	739661.9	4597014	270	734982.5	4597415	361	740798	45994
89	736807.7	4600340	180	739582.6	4596838	271	735067.3	4597236	362	739241.8	45995
90	737026.8	4600421	181	739491.4	4596666	272	735216.8	4597104	363	738254.6	45988
91	739264.1	4599552	182	739611.3	4599967	273	739999.6	4600009			

მუხლი 5. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი

1. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი განისაზღვრება საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, მათ შორის, მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის, შესაბამისად.

2. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე დასაშვებია გარემოსა და ისტორიული და კულტურის ძეგლების დაცვა, მოვლა-პატრონობა და აღდგენა, მანიპულაციური მეცნიერული კვლევის ჩატარება, ბუნებრივი ეკოსისტემებისა და მათ ფარგლებში ბუნებრივად გავრცელებული სახეობების კონსერვაცია და აღდგენა, რეკრეაციული, ტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობების განხორციელება, მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრულ შემთხვევებში ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განხორციელება, ტურიზმისა და მაჭახლის დაცული ლანდშაფტის განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და ტურიზმისა და რეგიონის განვითარების ხელშეწყობისთვის, მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ვიზუალური მხარის შეუვცლელად, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, მათ შორის, მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმით, დაშვებული სხვა საქმიანობების განხორციელება.

3. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის ფარგლებში მოქცეულ სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში სასოფლო-სამეურნეო, ტურისტული და სხვა ნებისმიერი საქმიანობა

(სამეცნიერო-კვლევითი, სამშენებლო, ობიექტების მომსახურებისა და სხვა) ხორციელდება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დადგენილი სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის შესაბამისად.

მუხლი 6. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მართვის უფლებამოსილების მქონე ორგანოები

1. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მართვა ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს ტყის კოდექსის, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის, მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. მაჭახლის დაცულ ლანდშაფტს, გარდა მის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყისა, მართავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში, რისთვისაც გამოიყოფა შესაბამისი ფინანსური რესურსი.

3. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ტყეს მართავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „აჭარის სატყეო სააგენტო“ ტყის მართვის გეგმისა და მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად.

4. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მართვაში მონაწილეობს წარმომადგენლობითი ორგანო (საბჭო), რომელსაც ქმნის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობა, უფლებები, მოვალეობები და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა, პროცედურული საკითხები განისაზღვრება წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) წესდებით, რომელსაც ამტკიცებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობაში შედის (შედიან) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ერთეულების) წარმომადგენელი (წარმომადგენლები) ბიოლოგიური მრავალფეროვნების, დაცული ტერიტორიებისა და ტყის სფეროებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად. წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) გადაწყვეტილებები ვრცელდება მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე გარდა ამ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყისა და შესაბამისი ტყის მართვის ორგანოსი.

7. სახელმწიფოს მიერ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებებია:

ა) მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მართვა, დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა;

ბ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება;

გ) მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე მონიტორინგის განხორციელებისა და მეცნიერული კვლევის ჩატარების ორგანიზება, დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება, შენახვა და გამოქვეყნება;

დ) მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის რეგულარულად მომზადება და გამოქვეყნება;

ე) მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრირება;

ვ) მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარების (ბილიკების, ზღუდეების, თავშესაფრებისა და გზამკვლევების მოწყობის და სხვა) ორგანიზება;

ზ) მაჭახლის დაცულ ლანდშაფტთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობა და შესაბამის პროგრამებში მონაწილეობა;
თ) სამთავრობო დაწესებულებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
ი) დაინტერესებულ საზოგადოებასთან თანამშრომლობა;
კ) მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების გაწევის ტარიფების განსაზღვრა;
ლ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 4^4 ნაწილით განსაზღვრული კოდექსის მუხლებითა და მუხლების ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა;
მ) საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, მათ შორის, მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმით, გათვალისწინებული სხვა საქმიანობების განხორციელება.
8. ამ მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო მიერ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას, ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად.

მუხლი 7. მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნასთან დაკავშირებულ მიწათსარგებლობასა და სასარგებლო წიაღისეულითა და ხეტყით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები

ეს კანონი არ ვრცელდება მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში ამავე კანონის ამოქმედებამდე არსებულ:

ა) ქონებრივ ურთიერთობებზე (მათ შორის, მიწის ნაკვეთების ყიდვის, გაყიდვის, უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, გაცვლის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის, იპოთეკისა და იჯარით გაცემის შემთხვევებში არსებულ ურთიერთობებზე);

ბ) სასარგებლო წიაღისეულითა და ხეტყით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე;
გ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებებით ან/და გაცემული ლიცენზიებით განსაზღვრულ ურთიერთობებზე;

დ) და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

მუხლი 8. გარდამავალი დებულება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამ კანონის ამოქმედებიდან 5 წლის შემდეგ განიხილავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისთვის მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის ან მისი ნაწილის მართვის უფლებით გადაცემის საკითხს.

მუხლი 9. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

2021 წლის

№

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი;

კანონპროექტის მიღება განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის, მაჭახლის ხეობის ადგილობრივი მოსახლეობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით. 2017 წლის აგვისტო–ოქტომბრის პერიოდში, გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა მაჭახელას ეროვნული პარკის მიმდებარე ზონის მართვის შესაძლო მექანიზმების ანალიზი, რის შედეგადაც დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე, ამ ტერიტორიის მართვის ოპტიმალურ მექანიზმად მიჩნეულ იქნა დაცული ლანდშაფტის დაარსება. გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) მხარი დაუჭირა ახალ ინიციატივას და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმებით დააფინანსა ახალი დაცული ტერიტორიის დაარსების მხარდამჭერი პროექტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახლის ხეობის იმ ტერიტორიაზე, რომელიც არ შედის ეროვნული პარკის შემადგენლობაში.

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების მიზნით გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი და გაეროს განვითარების პროგრამა (GEF/UNDP) ახორციელებს პროექტს “აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა”. პროექტის მიზანია შეიქმნას დაცული ტერიტორიების რეგიონული კომპლექსი დასავლეთ საქართველოს მცირე კავკასიონის ქედის საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ზომიერად ნოტიო კოლხური ტყეების დაცვისა და გონივრულად სარგებლობის მიზნით.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, 2018 წელს მოხდა მაჭახლის ხეობაში არსებული სიტუაციის შესწავლა და დაცული ტერიტორიის დაარსებისათვის შესატყვისი კატეგორიის შეთავაზება. კვლევის საფუძველზე შემუშავებული იქნა მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის კანონის პროექტი.

მაჭახლის დაცული ლანდშაფტის დაარსების საკითხი შეთანხმებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან, აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან, აჭარის სატყეო სააგენტოსთან, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობასთან, მაჭახლის ხეობის ადგილობრივ მოსახლეობასთან და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

მაჭახლის დაცული ლანდშაფტის სამართლებრივად არსებობისათვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები;

მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნა ხელს შეუწყობს მაჭახლის ხეობაში ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამორჩეული ტერიტორიების დაცვას, აღდგენას და გონივრულ გამოყენებას, კერძოდ:

ა) ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამორჩეული მაჭახლის ხეობის დაცვის, აღდგენისა და გონივრული გამოყენების ხელშეწყობა;

ბ) მაჭახლის დაცულ ლანდშაფტში ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით – საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის, დაცვა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების უზრუნველყოფა; ადამიანის საქმიანობის შედეგად დეგრადირებული ლანდშაფტის კომპონენტებისა და ჰაბიტატების აღდგენის ხელშეწყობა;

გ) ეკოსისტემური სერვისების დაცვისა და ადამიანის და გარემოს ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა;

დ) მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, აღდგენისა და ამ რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა;

ე) ეკოლოგიური განათლებისა და მეცნიერული კვლევსთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

ვ) ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა;

ზ) ბუნებრივ და ადამიანის მიერ სახეცვლილ გარემოში რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ხელშეწყობა.

თ) ადამიანის საქმიანობაზე მონიტორინგის წარმოების ხელშეწყობა ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტის შეუქცევადი დეგრადაციის პრევენციის მიზნით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგენილია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. იგი შედგება ცხრა მუხლისგან, რომლებიც ასახავენ კანონპროექტის ძირითად დებულებებს.

პირველი მუხლით განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო.

მე-2 მუხლით განსაზღვრულია კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები.

მე-3 მუხლით განსაზღვრულია მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნა და მისი მიზნები.

მე-4 მუხლით განსაზღვრულია მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მდებარეობა და ფართობი.

მე-5 მუხლით განსაზღვრულია მაჭახლის დაცული ლანდშაფტის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი.

მე-6 მუხლით განსაზღვრულია მაჭახლის დაცული ლანდშაფტის მართვის უფლებამოსილების მქონე ორგანოები.

მე-7 მუხლით განსაზღვრულია მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნასთან დაკავშირებულ მიწათსარგებლობასა და სასარგებლო წიაღისეულითა და ხეტყით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები

მე-8 მუხლით განსაზღვრულია გარდამავალი დებულება.

მე–9 მუხლით განსაზღვრულია კანონის ამოქმედების ვადა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

გამომდინარე იქიდან, რომ კანონის ამოქმედებისათვის აუცილებელია შესაბამისი ფინანსური სახსრები, კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრული იქნა ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისი - 2022 წლის 1 იანვარი.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო, კანონპროექტის ამოქმედების და შემდგომი სამი წლისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე ზრდის მიმართულებით. კანონპროექტი ასევე გავლენას მოახდენს 2022-2025 წლების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის მიმართულებით. კანონპროექტი ხელს შეუწყობს მაჭახლის ხეობის ტერიტორიაზე ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რეკრეაციული პოტენციალის სრულად ათვისებას, რაც რაციონალური დაგეგმვისა და მართვის პირობებში, უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღების წყაროდ შეიძლება იქცეს, როგორც საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სწრაფი ეკონომიკური ზრდის პირობებში სწორედ დაცულმა ტერიტორიებმა უნდა უზრუნველყონ საქართველოს გამორჩეული ბუნებრივი მრავალფეროვნებისა და მოსახლეობისათვის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება. ასევე, კანონპროექტი გავლენას მოახდენს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მაჭახლის დაცული ლანდშაფტის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად დასაქმებული ახალი ადამიანური რესუსის შრომის ანაზღაურებიდან გადახდილი საშემოსავლო გადასახადის კუთხით.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

მაჭახლის დაცულ ლანდშაფტს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მართავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, შესაბამისად ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჭირო იქნება დამატებითი ხარჯები.

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჭირო ხარჯები შეადგენს:

(ათასი ლარი)

2022 წელი	
ბიუჯეტი	*180, 6*
მომუშავეთა რიცხოვნობა	7
შრომის ანაზღაურება	66, 6
საქონელი და მომსახურება	16, 0
არაფინანსური აქტივების ზრდა	98, 0
2023 წელი	
ბიუჯეტი	*112, 4*
მომუშავეთა რიცხოვნობა	11
შრომის ანაზღაურება	103, 2
საქონელი და მომსახურება	9, 2
2024 წელი	
ბიუჯეტი	*139, 7*
მომუშავეთა რიცხოვნობა	14
შრომის ანაზღაურება	129, 0
საქონელი და მომსახურება	10, 7
2025 წელი	
ბიუჯეტი	*138, 2*
მომუშავეთა რიცხოვნობა	14
შრომის ანაზღაურება	129, 0
საქონელი და მომსახურება	9, 2

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნა არ გამოიწვევს ამ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვას. ამასთან კანონპროექტი დადებით გავლენას მოახდენს იმ პირებზე რომლებიც მოექცევიან კანონის რეგულირების ქვეშ.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი უშუალო გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან: გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი თანხვედრაშია იმ ვალდებულებებთან, რომლებიც საქართველოს გააჩნია „ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის“ (IUCN) მიმართ, როგორც მის წევრ ქვეყანას 2009 წლიდან. ამასთან, კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;

კანონპროექტი პირდაპირ ეხმიანება იმ ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს საერთაშორისო კონვენციებიდან, კერძოდ: „კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“, „კონვენცია მიგრირებადი სახეობების შესახებ“, „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების კონვენცია“ (ე.წ. „ბერნის კონვენცია“), „გაერთიანებული ერების ორგანიაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია“ და 2015 წლის 25 სექტემბერს საქართველოს მთავრობის მიერ კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოში წარდგენილი წინადადება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით დაკისრებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კანონპროექტი პირდაპირ ეხმიანება 2015 წელს გაერთიანებული ერების სამიტზე მხარეთა მიერ მიღებული „მდგრადი განვითარების მიზნების“ მიღწევას. კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს სხვა ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)

მარიკა ქავთარიშვილი - UNDP-ს ექსპერტი

ირაკლი გორაძე - UNDP აჭარის დაცული ტერიტორიების პროექტის ხელმძღვანელი

მარკ ენსტი - Mark Anstey – UNDP-ს ექსპერტი

მიხაელ ჰოშეკ Michael Hošek - UNDP-ს ექსპერტი

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძე. გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP).

ვ) კანონპროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

პროექტი

საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 239-ე მუხლის 4^4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4^4. ამ კოდექსის 48-ე მუხლით, 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 51-ე მუხლით, 51^1 მუხლის პირველი ნაწილით, 51^2 და 51^4–52-ე მუხლებით, 53^1 მუხლის პირველი ნაწილით, 53^2, 54-ე, 54^1 და 55^1 მუხლებით, 55^4 მუხლის პირველი ნაწილით, 58-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58^1, 58^3, მე-60, 60^3, 61-ე, 63-ე–63^1 მუხლებით, 64^1 მუხლის პირველი ნაწილით, 65-ე, 66-ე, 66^1 და 67-ე მუხლებით, 68-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით, 72^1 მუხლის პირველი ნაწილით, 73-ე, 74-ე, 76-ე და 85^1–85^5 მუხლებით, 86-ე მუხლის პირველი–მე-9 და მე-13–21-ე ნაწილებით, 89-ე მუხლის პირველი ნაწილით, 89^3 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებითა და 104-ე და 128^2 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია, არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია, მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია ან მათ მიერ უფლებამოსილი პირები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
2021 წლის
№

გამარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მომზადების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ იქმნება ახალი დაცული ტერიტორია - „მაჭახლის დაცული ლანდშაფტი", რომლის მართვას განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია. მითითებული კანონპროექტი ითვალისწინებენ აღნიშნული მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მისი მართვის ქვეშ არსებული დაცული ლანდშაფტის მართვის ფარგლებში, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" გათვალისწინებულ კონკრეტულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა შესაბამისი ცვლილება შევიდეს ასევე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 239-ე მუხლში, რომელიც ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„მაჭახლის დაცული ლანდშაფტის" მართვის ორგანოს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა მიეცეს უფლება, მოახდინონ შესაბამისი რეაგირება (შეადგინონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები) მის მართვას დაქვემდებარებულ დაცულ ტერიტორიაზე ჩადენილ სამართალდამრღვევებზე.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში ხელვაჩაურის მერიას ან მის მიერ უფლებამოსილ პირებს შესაძლებელობა ექნებათ შეადგინონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კოდექსის 239-ე მუხლის 4^4 ნაწილი ყალიბდება ახალი რედაქციით. აღნიშნულ ნაწილში ემატება, რომ ამავე ნაწილით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე სამართალდარღვევის ოქმებს შეადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია ან მის მიერ უფლებამოსილი პირები.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონის პროექტთან მიმართებით, პროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონის ამოქმედების თარიღი დაკავშირებულია „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან. შესაბამისად, კანონპროექტის ამოქმედების თარიღად გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული კანონის ძალაში შევლის თარიღი - 2022 წლის 1 იანვარი.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით

განხილვას): კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ასეთი არ არსებობს

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი).

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას, რომლის ოდენობაც ასახულია კანონის პროექტში „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შემქნისა და მართვის შესახებ“.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღების შედეგად, გარკვეულწილად, გაიზრდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, რადგან კანონპროექტის მიხედვით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია განახორციელებს მაჭახლის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენას. შესაბამისად, სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ჯარიმის სახით დაკისრებული თანხები მიმართული იქნება შესაბამისი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება გამოვლენილ სამართალდარღვევათა და ჯარიმის ოდენობებზე, რომელიც განსაზღვრულია „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შესაბამისი მუხლით.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია კანონის პროექტებში „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

კანონპროექტი ფინანსურ გავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომლებიც ჩაიდენენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას კანონპროექტით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლების მიხედვით. მათ, სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაეკისრებათ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი ჯარიმა. გავლენის ზომა დამოკიდებული იქნება გამოვლენილ სამართალდარღვევათა და ჯარიმის ოდენობებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადი ან მოსაკრებელი, ასევე სხვა

სახის გადასახდელის დენობა.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი უშუალო გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან: გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძე. გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP).

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი კანონის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 239. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ შედგება ოქმი, საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოს წარმომადგენლის მიერ, ოქმი არ დგება ამ კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. (ამოღებულია - 29.09.2020, №7185).

2^1. ამ კოდექსის 42^3 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. ამ კოდექსის 57^2 მუხლით, 60^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 61-ე, 95-ე, 128^1 და 173^5 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები.

4. ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე–51^2, 51^4–53^2, 54-ე, 54^1, 55^1, 55^4, 56-ე და 57^1 მუხლებით, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58^1–59-ე, 59^3, მე-60, 60^3, 61^1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69^4–69^6, 71-ე, 71^1, 72^1–77-ე, 78-ე და 79^1–79^5 მუხლებით, 79^6 მუხლით (ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ნაწილში), 79^7, 79^8 და 82^1–82^4 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების ნაწილში), 84-ე–86-ე, 86^2, 87^1–87^3 და 89-ე–89^3 მუხლებით, 91^3 მუხლის მე-3 ნაწილით, 103^1, 104-ე და 128^2–128^5 მუხლებითა და 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები.

4^1. ამ კოდექსის 59^2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლები.

4^2. (ამოღებულია – 25.03.2013, №453).

4^3. ამ კოდექსის 51-ე, 51^2 და 54^1 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

4^4. ამ კოდექსის 48-ე მუხლით, 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 51-ე მუხლით, 51^1 მუხლის პირველი ნაწილით, 51^2 და 51^4–52-ე მუხლებით, 53^1 მუხლის პირველი ნაწილით, 53^2, 54-ე, 54^1 და 55^1 მუხლებით, 55^4 მუხლის პირველი ნაწილით, 58-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58^1, 58^3, მე-60, 60^3, 61-ე, 63-ე და 63^1 მუხლებით, 64^1 მუხლის პირველი ნაწილით, 65-ე, 66-ე, 66^1 და 67-ე მუხლებით, 68-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით, 72^1 მუხლის პირველი ნაწილით, 73-ე, 74-ე, 76-ე და 85^1–85^5 მუხლებით, 86-ე მუხლის პირველი–მე-9 და მე-13–21-ე ნაწილებით, 89-ე მუხლის პირველი ნაწილით, 89^3 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებითა და 104-ე და 128^2 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია, არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე – დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია ან ადგენენ მათ მიერ უფლებამოსილი პირები.

5. (ამოღებულია).

6. ამ კოდექსის 95-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ აგრეთვე გაზის მეურნეობის საამისოდ უფლებამოსილი მუშაკები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

7. (ამოღებულია).

8. (ამოღებულია).

9. ამ კოდექსის 92^1 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

10. ამ კოდექსის 88-ე და 144^{10} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილი პირები ან იმავე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

10^1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ამ კოდექსის 88-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი პირები.

11. ამ კოდექსის 107^1 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ პოლიციის, რკინიგზის, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის ორგანოების მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

12. ამ კოდექსის 107^2 და 107^3 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დაცვისადმი ზედამხედველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირები.

13. ამ კოდექსის 42^{10}, 45-ე, 45^1, 58^3, 81-ე, 86^1, 100^2, 107-ე, 107^5, 114^1, 114^2, 116-ე–116^3 და 118-ე–123-ე მუხლებით, 125-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილისა), 127-ე მუხლით, 127^1 მუხლის პირველი–მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 134-ე, 135^2–135^4, 139^5, 150-ე, 152^7, 152^8 და 153^3 მუხლებით, 153^6 მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებითა და 166-ე, 173-ე, 173^{14}, 173^{15}, 174^1, 174^{15}, 174^{16}, 174^{17}, 175^2, 176^1, 176^3, 177-ე, 177^1, 177^{15}, 180-ე–183-ე, 190-ე, 190^2, 191-ე და 199^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45^1, 166-ე და 197^2 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.

13^1. ამ კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის მიმართ ჩადენისას, აგრეთვე ამავე კოდექსის 246-ე მუხლის „გ^1" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი.

13^2. ამ კოდექსის 173 -ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს აღსრულების პოლიციელი.

14. ამ კოდექსის 43^1, 43^2, 51^3, 53^3, 55-ე, 55^2 და 55^3 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 107^4 მუხლით, 114^2 მუხლის მე-6 ნაწილით, 119^1 მუხლით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 145-ე, 146^1, 148-ე, 150-ე–151-ე, 152-ე და 153^4 მუხლებით, 153^6 მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით და 159-ე და 159^1 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ უფლებამოსილი პირები.

14^1. ამ კოდექსის 46^5, 46^6, 172^8 და 172^9 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს მუნიციპალიტეტის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი სამსახურის თანამდებობის პირი.

15. (ამოღებულია).

16. ამ კოდექსის 153-ე, 153^1, 154^1, 154^2, 155^1, 158-ე, 158^1, 159^4, 163-ე, 165^3 და 178-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, სახელმწიფო მმართ ველობის ორგანოების

მიერ უფლებამოსილი პირები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანოები ან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანოების უფლებამოსილი პირები.

16^{1}. ამ კოდექსის 159^{10} მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები და შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი პირები.

17. (ამოღებულია).

18. ამ კოდექსის 173^{3} მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს შეადგენს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე.

18^{1}. ამ კოდექსის 173^{14} მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილი პირები.

19. ამ კოდექსის 82^{5} მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 91^{2} მუხლით, 91^{3} მუხლის პირველი ნაწილით, 127^{1} მუხლის მე-2 ნაწილით, 135^{2} მუხლის მე-2 ნაწილით, 153-ე, 153^{1}, 153^{5}, 155^{1}–155^{3}, 155^{5} და 155^{6} მუხლებით, 155^{7} მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 155^{9}, 155^{10}, 157-ე, 158-ე, 164-ე, 164^{4} და 165-ე–165^{3} მუხლებით, 171^{4} მუხლის მე-2 ნაწილითა და 171^{5}, 176^{4}, 178-ე, 179^{3}, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში – ამ კოდექსის 42^{10} მუხლით, 127^{1} მუხლის 3^{1} და 3^{2} ნაწილებითა და 174^{17} და 177^{15} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები.

[19^{1}. ამ კოდექსის 155^{8} მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები. ***(ამოქმედდეს 2022 წლის 31 დეკემბრიდან)***]

20. ამ კოდექსის 173^{4} მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს სახალხო დამცველი.

21. ამ კოდექსის 173^{5} მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ კანონით განსაზღვრული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

22. ამ კოდექსის 179^{2} მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები.

23. ამ კოდექსის 174^{2} მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო კომისიები, მის მიერ უფლებამოსილი პირები ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

24. 177^{8} და 177^{9} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ სახელმწიფო გეოდეზიური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორები.

24^{1}. (ამოღებულია).

24^{2}. (ამოღებულია).

24^{3}. (ამოღებულია).

25. (ამოღებულია – 08.05.2012, №6156).

26. (ამოღებულია – 01.07.2011, №5004).

27. ამ კოდექსის 55^{5}, 55^{6}, 77^{1}, 77^{2}, 107^{2} და 107^{3} მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, 125^{2}–125^{4} მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134-ე–135^{5}, 146^{1}, 150^{1}–150^{3}, 151^{1} და 152^{2}–152^{9} მუხლებით, 153^{6} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებითა და 153^{9}, 156^{1}, 158^{3} და 158^{4} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს, ამ კოდექსის 290^{6} მუხლის გათვალისწინებით, ადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის

მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

28. ამ კოდექსის 127^1 მუხლის მე-3 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში – ამ კოდექსის 127^1 მუხლის 3^1 და 3^2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილ პირს.

28^1. ამ კოდექსის 56-ე, 57-ე, 57^2–57^4, 59^3, 84-ე და 84^1 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წიაღის ეროვნული სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი თანამშრომლები.

29. ამ კოდექსის 91^2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანო კანონით უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის საფუძველზე.

30. (ამოღებულია).

31. ადგილობრივი ტყის ფონდის მიწებზე ამ კოდექსის 49-ე, 51-ე, 51^2, 52-ე, 63-ე, 64-ე, 65-ე, 66-ე–67-ე, 68-ე, 71-ე, 73-ე–76-ე და 86-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

32. (ამოღებულია).

33. ამ კოდექსის 157^1–157^4 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ან ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები .

34. ამ კოდექსის 94-ე მუხლით ენერგეტიკის სფეროში გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

35. ამ კოდექსის 141-ე–142-ე, 144^1, 144^3–144^5 და 144^{11} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილი პირები.

36. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების და ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საქმიანობის სფეროში ჩადენილ, ამ კოდექსის 56-ე, 57-ე და 57^2 მუხლებით, 91^3 მუხლის მე-2 ნაწილით და 96^2 და 173^5 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

37. ამ კოდექსის 159^5–159^9 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამოსილი პირები ან/და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანოები.

38. ამ კოდექსის 44^2, 44^5, 44^7–44^{11} და 46^2–46^4 მუხლებით, 155^7 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებითა და 155^{11} მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები.

39. ამ კოდექსის 105^2 და 179^5 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო.

39^1. (ამოღებულია – 08.05.2012, №6156).

40. (ამოღებულია).

41. ამ კოდექსის 58[2] მუხლით და 86-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ გამოვლენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოსთან ერთად). ამ კოდექსის 86-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-5–მე-10 და მე-12–მე-15 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ გამოვლენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოსთან ერთად).

42. ამ კოდექსის 46[1] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

43. (ამოღებულია).

44. ამ კოდექსის 43-ე, 44-ე, 44[1], 44[3] მუხლებით, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 60[1] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 60[3], 173[5], 177[11] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოქმს ადგენენ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

45. (ამოღებულია - 05.02.2020, №5707).

46. ამ კოდექსის 42[5]–42[9] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამოსილი პირები.

47. ამ კოდექსის 139[2] და 139[3] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – სახმელეთო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს, ხოლო 139[4] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება – შესაბამისი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირებს.

47[1]. ამ კოდექსის 109-ე და 111-ე–111[5] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფლებამოსილი პირები.

48. ამ კოდექსის 171[1] მუხლით (ყველა დაწესებულების (გარდა საქართველოს თავდაცვის ძალებისა და პენიტენციური დაწესებულებისა), სატრანსპორტო საშუალების (გარდა რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა) მძღოლის, რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მესაკუთრის/მფლობელის, აგრეთვე ფიზიკური პირის მიმართ (გარდა ფიზიკური პირის მიერ რკინიგზის ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევისა)), 171[3] და 191-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

49. (ამოღებულია – 08.05.2012, №6156).

50. ამ კოდექსის 96[1] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიატი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

51. ამ კოდექსის 44[4] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

52. (ამოღებულია).

52[1]. ამ კოდექსის 129[1] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევებში ქვეყნის საზღვრების შიგა სივრცეში ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას ან მის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებისას – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

53. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45[1], 166-ე, 197[2] და 197[3] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

54. (ამოღებულია – 28.12.2011, №5662).

55. ამ კოდექსის 185-ე, 185[1] და 185[2] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

56. ამ კოდექსის 128[2] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები ან/და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

57. ამ კოდექსის 99-ე, 165[10] და 165[11] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

58. (ამოღებულია).

59. (ამოღებულია – 27.12.2011, №5653).

60. ამ კოდექსის 172[4], 172[5], 173[6], 173[7], 173[9] და 175[1] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები, ხოლო ამ კოდექსის 172[7] და 173[13] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

60[1]. ამ კოდექსის 155-ე, 166[1], 170-ე, 171-ე და 172-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი პირები.

60[2]. (ამოღებულია – 22.12.2018, №4100).

61. ამ კოდექსის 96[4] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს პირველადი წყალმოსარგებლე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

62. ამ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

63. ამ კოდექსის 173[12] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს სასამართლო.

64. სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მყოფი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეების მიერ ამ კოდექსის 45-ე და 45[1] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში აღნიშნულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომელი.

65. (ამოღებულია - 16.09.2020, №7128).

66. ამ კოდექსის 196[1], 197-ე და 198-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის მერს/თბილისის რაიონის გამგებელს ან მის მიერ უფლებამოსილ მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს საჯარო მოსამსახურეს.

67. ამ კოდექსის 196[3], 196[6] და 197[1] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის უფლება აქვს მუნიციპალიტეტის მერს/თბილისის რაიონის გამგებელს ან მის მიერ უფლებამოსილ მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს საჯარო მოსამსახურეს.

68. ამ კოდექსის 172[6] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს თავისი/თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს/ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ან მათ მიერ უფლებამოსილი პირები.

69. ამ კოდექსის 177[12] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) უფლებამოსილი პირები.

70. ამ კოდექსის 153[7], 153[8] და 153[10]–153[12] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი პირები.

71. ამ კოდექსის 171[1] მუხლით (თავდაცვის ძალების დაწესებულების შენობა-ნაგებობაში ჩადენილი დარღვევებისათვის) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანოები.

72. ამ კოდექსის 171[2] მუხლითა და 171[4] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილი პირები.

73. ამ კოდექსის 177[13] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს (გარდა ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4[1] ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) ადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის უფლებამოსილი პირი. ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4[1] ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს პოლიციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

74. ამ კოდექსის 191[1] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე ოქმს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით საქართველოს ტერიტორიის დატოვებისას – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

75. ამ კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები (წყალმომარაგების ლიცენზიატები) (მათ მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები) მათ მიერვე დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.